ოქმი №13

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე

სხდომისა

აბაშა, 2025 წლის 26 დეკემბერი

ოქმი №13

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომისა

აბაშა, 2025 წლის 26 დეკემბერი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ი. კიზირია
სხდომას ესწრებოდნენ:
ბიუროს წევრები: პ. ხოშტარია, ზ. მაკალათია, მ. კვიტაშვილი, შ. ჯღარკავა, ზ. ნოდია, ზ. გუგუშვილი, დ. ცანავა, გ. ქოიავა, ვ. ავალიანი და დ. ვერულაშვილი.

საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს აპარატის უფროსი - ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - გ. ხურცილავა, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე - ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - თამაზ შოთაძე, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნ. კუპრეიშვილი და საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. შ. ჯღარკავა

2. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ.

   მომხს. ი. კიზირია

1

მოისმინეს:
„აბაშის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. შ. ჯღარკავა

მომხსენებელმა შ. ჯღარკავამ ბიუროს წევრებს გააცნო „აბაშის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – „აბაშის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ა. კაჭარავა

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

2

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ.

მომხს. ი. კიზირია

მომხსენებელმა, საკრებულოს თავმჯდომარე ი. კიზირიამ წამოაყენა წინადადება აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნეს 2025 წლის 29 დეკემბერს დილის 10 საათზე, დღის წესრიგით:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის რიგგარეშე №8 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ი. კიზირია

2. „აბაშის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ა. კაჭარავა

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: ი. კიზირია